განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

სადოქტორო პროგრამა - ქართველური ენათმეცნიერება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
26. 03. 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი
16. 04. 2019

თბილისი
2019

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართველური ენათმეცნიერება
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფილოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული (ერთწლიანი აკრედიტაციის პირობით. გადაწყვეტილება პროგრამის აკრედიტაციის შესახებ - 2018 წლის 04 აპრილი, №51)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინა ბერიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამა ფუნქციონირებს 2013 წლიდან. 2018 წელს პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია ერთწლიანი აკრედიტაციის პირობით (გადაწყვეტილება პროგრამის აკრედიტაციის შესახებ - 2018 წლის 04 აპრილი, №51). აღნიშნული აკრედიტაციის დასკვნასა და სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი #16 (04. 04. 2018) შესაბამისად, განსაზღვრული იყო პროგრამის განვითარებისათვის შესაბამისი რეკომენდაციები და რჩევები, რომელთა დიდი ნაწილი გათვალისწინებულია სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში 2019 წელს. რეკომენდაციებისა და რჩევების ნაწილი იყო განხილული და პროგრამაში შევიდა შესაბამისი ცვლილებები (დაწვრილებით იხ. განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა; ასევე: 1. 1; 1. 2; 2. 1; 2. 2; 2. 3; 4. 1; 4. 4) დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილება შეეხო პროგრამის წინაპირობებსაც. კერძოდ, 2018 წლამდე პროგრამის ერთ-ერთი წინაპირობა იყო უცხო ენის გამოცდის ჩაბარება ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან რუსულ ენაში, ხოლო ამჟამად სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში ამოღებულია რუსული ენა. აღნიშნული ცვლილება უნდა შეფასდეს დადებითად, რადგან ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაზე არსებული სამეცნიერო და მეთოდოლოგიური კვლევები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს დოქტორანტებს კვლევისას.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან. პროგრამაში ასახულია უნივერსიტეტის მისიის შესაბამისი საკითხები. უნივერსიტეტის მისიაში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტი არის "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - 1932 წელს დაარსებული სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (1979 წლიდან - სოხუმის/აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის) - უშუალო სამართალმემკვიდრე. ის არის მრავალსაუკუნოვანი ზოგადქართული საგანმანათლებლო ტრადიციების მატარებელი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც ეფუძნება ქართველი და აფხაზი ხალხების სულიერ და ინტელექტუალურ ფასეულობებს, მულტიკულტურული სისტემების მდგრადობის განმსაზღვრელ ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს; გააჩნია განსაკუთრებული

- ეთნიკური, მენტალური და სოციოკულტურული ფასეულობების შემაკავშირებელი ფუნქცია - ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის უკანასკნელ ათწლეულებში გაჩენილი მენტალური გაუცხოების აღმოფხვრისა და აფხაზეთში ქართულ-აფხაზური ისტორიული თანაცხოვრების აღდგენის პროცესის ხელის შეწყობა. ეს განსაკუთრებული მისია, რომელიც უპირატესობასთან ერთად, საგანგებო და ისტორიული პასუხისმგებლობაცაა, აჩენს შესაძლებლობას, რომ უნივერსიტეტი, საგანმანათლებლო კერასთან ერთად, იქცეს კონფლიქტების კვლევის რეგიონულ ცენტრად". ასევე, აღნიშნულია, რომ: "სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია ისეთი მნიშვნელოვანი დარგებისა და მიმართულებების განვითარება, როგორებიცაა: ქართველოლოგია, აფხაზეთმცოდნეობა, მასწავლებელთა განათლება, ზუსტი და საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული და სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებები, სამართალი და ბიზნესის ადმინისტრირება. ამასთან ერთად, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინარული დარგების, მოკლევადიანი და პროფესიული პროგრამების განხორციელება, რომელთა მიზანს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება შეადგენს. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მხარს უჭერს განათლების ინტერნაციონალიზაციას, უწყვეტობას, მდგრადობასა და ხელმისაწვდომობას; აღნიშნული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია უცხოელ პარტნიორებთან ერთად სხვადასხვა ერთობლივ სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევით პროექტებში აქტიური ჩართვა, მათი მხარდაჭერა, რაც, თავის მხრივ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს საერთაშორისო აღიარებას მოუპოვებს". აღნიშნულთან კავშირში უნდა ითქვას, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში, სადოქტორო პროგრამა ქართველური ენათმეცნიერება, შეტანილია, როგორც ქართველური ენათმეცნიერების, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების, ისე აფხაზოლოგიის საკითხები.

პროგრამის მიზანია ქართველურ ენათმეცნიერებაში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ შესაბამისი დარგის აკადემიური ხარისხი და სათანადო კვალიფიკაცია. პროგრამის კურიკულუმი შედგენილია თანამედროვე მეთოდებისა და სტანდარტების გათვალისწინებით. მასში გათვალისწინებულია ქართველური ენათმეცნიერების, ასევე, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესახებ არსებული განსხვავებული სამეცნიერო თვალსაზრისების სწავლების კომპონენტი, მათ შორის, უცხოეთის წამყვანი საენათმეცნიერო სკოლების სამეცნიერო შეხედულებების, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო სიახლეების გაცნობა და გათვალისწინება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ცენტრის დირექტორის ბრძანების #195 (18. 03. 2019) თანახმად, 2019 წლის 26 მარტს სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, მარინა ბერიძე, ქრისტინე ჩიხლაძე.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ იმუშავა პროგრამის გაცნობაზე, შეფასებაზე და დაზუსტდა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სამუშო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შედგა შეხვედრები უნივერსიტეტის რექტორთან, კანცლერთან, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ფაკულტეტის დეკანთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან. შემდეგ შედგა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და პოტენციურ დამსაქმებლებს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა აუდიტორიები, სამუშაო ოთახები, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკები და სხვ.

შეხვედრის განმავლობაში დაზუსტებულ იქნა ინფორმაცია პროგრამის, მისი სტრუქტურის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ.

ვიზიტის დროს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა 2018 წლის ერთწლიანი აკრედიტაციის შემდგომ ცვლილებებზე პროგრამაში. ცვლილებების ნაწილი განხილულ იქნა დეტალურად.

ვიზიტის დროს ყურადღება გამახვილდა აგრეთვე სადისერტაციო ნაშრომებზე. აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატთან ბრძოლის საკითხებზე, ასევე, სადისერტაციო ნაშრომის ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამის მიზანი შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. პროგრამაში

ასახულია უნივერსიტეტის მისიის შესაბამისი საკითხები. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში შედეგები განსაზღვრულია ოპტიმალურად და რეალისტურად. პროგრამაში ჩართული პირები, როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ჩართული იყო პროგრამის შედგენაში და შემუშავებაში. სადოქტორო პროგრამაში არსებული უნარები: ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ძირითადად, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. პირველი სტანდარტი შესაბამისომაშია მოთხოვნებთან.

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამის წინაპირობები არის საჯარო და ხელმისაწვდომი. სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროგრამის მიზნებს. კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ლოგიკურია. სასწავლო კურსის შინაარსში შეინიშნება გარკვეული ტექნიკური და შინაარსობრივი სახის ხარვეზები, რომლის შესახებაც აკრედიტაციის ექსპერტებს ჰქონდათ რეკომენდაციები და რჩევები. მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე სათანადო კონსულტაციას. მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების პროგრამას ახორციელებენ ქართველური ენათმეცნიერების კვალიფიციური პროფესორები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების კომპეტენციები. პროგრამას ჰყავს 10 პროფესორი, მათ შორის, 7 აკადემიური, აფილირებული პროფესორი, 3 მოწვეული პროფესორი. პროგრამას ახორციელებენ მეცნიერები, რომელთაც აქვთ ურთიერთგანსხვავებული სამეცნიერო შეხედულებები და თეორიები. პროგრამის სილაბუსებში, ასევე პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ პროგრამაში ისწავლება ქართველური ენათმეცნიერების განსხვავებული თეორიები, რაც საშუალებას აძლევს დოქტორანტს, მიიღოს სრულყოფილი ცოდნა აღნიშნულ საკითხებზე. მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამებისა და

სილაბუსები შეფასებაზე, მათი განვითარების ხელშეწყობაზე, რაც ხორციელდება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA) ციკლის პრინციპებს, რომელიც მოიცავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების სასწავლო კურსებით გაწერილი სასწავლო აქტივობების განხორციელების, მათი შინაარსისა და საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმებას, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. პროგრამის ფარგლებში აკადემიური პერსონალის ჩართულობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებულია SWOT – ანალიზი, რომელიც კრიტიკულად გამოკვეთს პროგრამის როგორც ძლიერ და სუსტ მხარეებს, ისე განვითარების შესაძლებლობებსა და საფრთხეებს. მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამა მთლიანობაში შეესაბამება სტანდარტებს.

- **რეკომენდაციები**
  - მიზანშეწონილია, საგანში: აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით, შესაბამისობაში მოვიდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა კურსის შინაარსში შეტანილ მასალასთან.
  - მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საგნის: აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტები სასწავლო კურსის შინაარსში აისახოს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატთან ბრძოლის საკითხები.
  - სავალდებულო საგნის “იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები” სილაბუსის ფორმა განსხვავდება სხვა საგნების სილაბუსების ფორმისგან. კერძოდ, დანართი 1, სასწავლო კურსის შინაარსი არ შეიცავს შესაბამისი თემებისათვის განსაზღვრულ ლიტერატურას. მიზანშეწონილია, დაზუსტდეს სილაბუსის ფორმა, აღნიშნულ საგანში აისახოს სასწავლო კურსის შინაარსი და თემატიკასთან ერთად მითითებული იყოს ლიტერატურაც.
  - არჩევით საგანში: “ენობრივი სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში” აუცილებელია, სილაბუსში დასახელებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის შინაარსთან.

- არჩევით საგანში: “იბერიულ-კავკასიურ ენათა ლექსიკის შეპირისპირებითი ანალიზი,” აუცილებელია, შესაბამისობაში მოვიდეს საგნის შინაარსი ლიტერატურის სიასთან.
- არჩევითი საგანის “აფხაზეთის ონომასტიკა” სილაბუსის ფორმა განსხვავდება სხვა საგნების სილაბუსების ფორმისგან. კერძოდ, დანართი 1, სასწავლო კურსის შინაარსი არ შეიცავს შესაბამისი თემებისათვის განსაზღვრულ ლიტერატურას. მიზანშეწონილია, დაზუსტდეს სილაბუსის ფორმა, აღნიშნულ საგანში აისახოს სასწავლო კურსის შინაარსი და თემატიკასთან ერთად მითითებული იყოს ლიტერატურაც.
- მიზანშეწონილია, იმ სასწავლო კურსებისათვის, სადაც სავალდებულო ლიტერატურის ნაწილი არის რუსულ ენაზე, დაწესდეს წინაპირობა.
- ვინაიდან ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამაში გვხვდება სილაბუსების არაერთგვაროვანი ფორმები, მიზანშეწონილია, სილაბუსებს ჰქონდეს უნივერსალური ფორმა.
- დაინერგოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის.
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, დამხმარე და სასწავლო მასალა. წიგნების ნაწილი არ არის შეტანილი ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში, ან არ იძებნება. მიზანშეწონილია, შესაბამისობაში მოვიდეს საგნების სილაბუსები ბიბლიოთეკის კატალოგთან.
- სავალდებულო გახდეს ერთი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში ან საზღვარგარეთ გამოცემულ რომელიმე რეფერირებად სამეცნიერო კრებულში.
-

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია, პრორგამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოტივირება/დაინტერესება მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში მონაწილეობის მისაღებად (SCOPUS, EBSCO და სხვ.).
  - სასურველია, სადოქტორო პროგრამის შესაბამის ნორმატიული აქტებში აისახოს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატთან ბრძოლის საკითხები.

- მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგებისათვის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სსიპ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით გადაიხედა 2018 წლის აკრედიტაციის დასკვნა სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პრორგამის თვითშეფასების ანგარიშთან, პროგრამის კურიკულუმთან, სილაბუსების განხილვასთან შესაბამისობაში, ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

2018 წლის აკრედიტაციის დასკვნაში გაცემული იყო რეკომენდაცია:

- პროგრამისათვის ზოგად არჩევით კურსებს ჩაენაცვლოს პროგრამის შედეგების მისაღწევად ღირებული კურსები ან მოხდეს სილაბუსების გაუმჯობესება და მათი შინაარსობრივი მხარე მოყვანილ იქნეს სწავლების მესამე საფეხურის, დოქტორანტურის დონესთან.

აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია შემდეგნაირად: ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებიდან ამოღებულ იქნა ქართველური ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები 1, ქართველური ენათმეცნიერების აქტუალურიპრობლემები 2, ლინგვისტური კვლევა-ძიების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები. ეს სასწავლო კურსები ჩაანაცვლა სხვა სავალდებულო სასწავლო კურსებმა: ქართველურ ენა-კილოთა მორფოლოგიის აქტუალური პრობლემები - 6 კრედიტი, ქართველური ფონემატური სტრუქტურა - 6 კრედიტი, ქართველური ლექსიკოლოგია - 6 კრედიტი, მეგრულ-ლაზური კილოები (თეორიული კურსი) - 6 კრედიტი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები - 6 კრედიტი, რაც ჯამში შეადგინა -30 კრედიტი, ნაცვლად 18 კრედიტისა.

პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსებიდან ამოღებულ იქნა შემდეგი საგნები: სოციოლინგვისტიკა - 3 კრედიტი, ლინგვისტური კომპარატივისტიკა - 6 კრედიტი,

თეორიული ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები - 3 კრედიტი, ქართული სამწიგნობრო ენის ნორმალიზაციის პრინციპები - 6 კრედიტი. ზოგ არჩევით სასწავლო კურსს მიენიჭა სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსი. მაგალითად: ქართველური ლექსიკოლოგია - 6 კრედიტი, მეგრულ-ლაზური კილოები (თეორიული კურსი) - 6 კრედიტი.

არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა ახალი სასწავლო კურსები - აფხაზეთის ონომასტიკა - 3 კრედიტი, აღნიშნული სასწავლო კურსის შემოღება განპირობებული იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; იბერიულ-კავკასიური ენათა ლექსიკის შეპირისპირებითი ანალიზი-6 კრედიტი, ქართული სალიტერატურო ენის ნორმა და სტანდარტი-6 კრედიტი.

შესაბამისად, შესაძლებელია ჩაითვალოს, რომ მოხდა პროგრამის საფუძვლიანი გადამუშავება.

- ამოღებულ იქნას საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი იმ სილაბუსებიდან, რომლებიც არ არის ორიენტირებული აღნიშნული უნარების შეძენაზე.

აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდა.

- გადაიხედოს და გამდიდრდეს სილაბუსებში მითითებული თემატიკა და ლიტერატურა საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდა.

- გათვალისწინებული იქნეს ქართველოლოგიური ენათმეცნიერების უახლესი სამეცნიერო ტენდენციები, რაშიც იგულისხმება ენის დოკუმენტირება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და კვლევა ამ ტექნოლოგიებით შექმნილ რესურსებზე დაყრდნობით.
- გაუმჯობესდეს პროგრამის პრაქტიკული ასპექტი ლინგვისტური მეთოდოლოგიის დახვეწით.
- შემოღებულ იქნეს თანამედროვე ლინგვისტური სტანდარტების (საერთაშორისო ფონეტიკური ანბანის, ლაიფციგის გლოსირების წესების, მორფოსინტაქსური სპეციფიკებისა და ა. შ.) შესწავლაზე ორიენტირებული თემატიკა.

აღნიშნული რეკომენდაციები ეხება ენათმეცნიერების, მათ შორის, ქართველური ენათმეცნიერებისა და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სწავლა-სწავლების თანამედროვე ტენდენციებს, რომელიც ხორციელდება ამერიკისა და ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში ქართველი მეცნიერების ჩართულობით. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პროფესორები მონაწილეობენ ქართველური ენათმეცნიერებისა და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დოკუმენტირების პროცესში, ასევე, ლინგვისტური მეთოდოლოგიის შემუშავებაში ქართველურ და იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებასთან დაკავშირებით, როგორც საერთაშორისო ფონეტიკური ანბანის, ისე იპას (IPA), ლაიფციგისა და სხვა გლოსირების წესების მიხედვით. პროფესორები მონაწილეობენ საერთაშორისო საენათმეცნიერო პროექტებში, რომელთა შესწავლის საგანია მსოფლიოს ენების (მათი თანამონაწილეობით მიმდინარე პროექტი მოიცავს 510 ენას) თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დოკუმენტირება, გლოსირების წესების შექმნა და სხვ. აკადემიურ და მოწვეულ პროფესორებთან გასაუბრების შედეგად გამოირკვა, რომ აღნიშნულ საკითხებში მიღებულ საერთაშორისო გამოცდილებას აცნობენ დოქტორანტებს. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, უცხოური პუბლიკაციების მომზადებისას, დოქტორანტები ითვისებენ და აქტიურად იყენებენ ტრანსკრიპციის საერთაშორისო სისტემებს.

- სილაბუსები გათავისუფლდეს დუბლირებისაგან.

აღნიშნული რეკომენდაცია ექსპერტთა დასკვნის შესაბამის ნაწილში (1. 2. პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი) შემდეგი ფორმულირებით გვხვდება: “სილაბუსები გათავისუფლდეს შედეგების ნაწილობრივი დუბლირებისაგან” და ეხებოდა ტექნიკურ უზუსტობას. საგნის “აკადემიური წერა კვლევითი მეთოდების კომპონენტებით” შედეგებში აღინიშნა არქეოლოგიის დარგის უნარების შედეგები. აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდა, სილაბუსიდან ამოღებულია ტექნიკური ხარვეზი.

2019 წელს განხორციელებული აკრედიტაციის ექსპერტები გაეცნენ პროგრამაში შემავალ სილაბუსებს, დასახელებულ სავალდებულო და არჩევით ლიტერატურას, ასევე, სილაბუსების შინაარსს. გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით გამოითქვა რეკომენდაციები და რჩევები, რაც ასახულია შესაბამის ნაწილში (დაწვრილებით იხ. 1. 2; 2. 1; 2. 2; 2. 3; 2. 4)

- განისაზღვროს სილაბუსში მითითებული ლიტერატურის მოცულობა სამუშაო დროის (ერთი კვირა) გათვალისწინებით.
- გაუმჯობესდეს თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალსა და ბიბლიოთეკას შორის როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი ლიტერატურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.
- მიეწოდოს ბიბლიოთეკას ის სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც გათვალისწინებულია კონკრეტული კურსების სილაბუსებით.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პროგრამაში არსებობს გარკვეული ცვლილებები. 2019 წელს განხორციელებული აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები და რჩევები ასახულია დასკნის შესაბამის ნაწილში (დაწვრილებით იხ. 4. 3; ასევე: 2. 1; 2. 2; 2. 3;)

- ამაღლდეს ინტერნაციონალიზაციის დონე.
- კვლევების პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით მოხდეს პროგრამით განსაზღვრული სამი სამეცნიერო ნაშრომიდან ერთ-ერთის გამოქვეყნება საერთაშორისო რეცენზირებად ან/და რეფერირებად/რეცენზირებად/იმპაქტფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში/შრომებში ან უცხოეთის სამეცნიერო გამოცემებში, რომლებიც მოხვედრილია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (EBSCO, SCOPUS)
- ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას შესაბამისი საერთაშორისო რეცენზირებადი გამოცემების სარეკომენდაციო სია.
- გაიმართოს აკადემიური პერსონალის სწავლების შდეგების შეფასების მექანიზმი.
- უზრუნველყოფილ იქნეს გამოკითხვების შედეგების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის ხელმისაწვდომობა
- დაიხვეწოს როგორც კვლევითი, ასევე სწავლების მეთოდოლოგიის სწავლებაზე ორიენტირებული კურსების შინაარსი
- დაიხვეწოს პროგრამის როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო კომპონენტი კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მოსამზადებლად.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პროგრამაში არსებობს გარკვეული ცვლილებები. 2019 წელს განხორციელებული აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები და რჩევები ასახულია დასკნის შესაბამის ნაწილში (დაწვრილებით იხ. 1. 2; 2. 1; 2. 2; 2. 3; 2. 4; 4. 2).

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამის მიზანი შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. პროგრამაში ასახულია უნივერსიტეტის მისიის შესაბამისი საკითხები. უნივერსიტეტის მისიაში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტი არის "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - 1932 წელს დაარსებული სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (1979 წლიდან - სოხუმის/აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის) - უშუალო სამართალმემკვიდრე. ის არის მრავალსაუკუნოვანი ზოგადქართული საგანმანათლებლო ტრადიციების მატარებელი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც ეფუძნება ქართველი და აფხაზი ხალხების სულიერ და ინტელექტუალურ ფასეულობებს, მულტიკულტურული სისტემების მდგრადობის განმსაზღვრელ ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს; გააჩნია განსაკუთრებული - ეთნიკური, მენტალური და სოციოკულტურული ფასეულობების შემაკავშირებელი ფუნქცია - ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის უკანასკნელ ათწლეულებში გაჩენილი მენტალური გაუცხოების აღმოფხვრისა და აფხაზეთში ქართულ-აფხაზური ისტორიული თანაცხოვრების აღდგენის პროცესის ხელის შეწყობა. ეს განსაკუთრებული მისია, რომელიც უპირატესობასთან ერთად, საგანგებო და ისტორიული პასუხისმგებლობაცაა, აჩენს შესაძლებლობას, რომ უნივერსიტეტი, საგანმანათლებლო კერასთან ერთად, იქცეს კონფლიქტების კვლევის რეგიონულ ცენტრად" ასევე, აღნიშნულია, რომ: "სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია ისეთი მნიშვნელოვანი დარგებისა და მიმართულებების

განვითარება, როგორებიცაა: ქართველოლოგია, აფხაზეთმცოდნეობა, მასწავლებელთა განათლება, ზუსტი და საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული და სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებები, სამართალი და ბიზნესის ადმინისტრირება. ამასთან ერთად, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინური დარგების, მოკლევადიანი და პროფესიული პროგრამების განხორციელება, რომელთა მიზანს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება შეადგენს. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მხარს უჭერს განათლების ინტერნაციონალიზაციას, უწყვეტობას, მდგრადობასა და ხელმისაწვდომობას; აღნიშნული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია უცხოელ პარტნიორებთან ერთად სხვადასხვა ერთობლივ სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევით პროექტებში აქტიური ჩართვა, მათი მხარდაჭერა, რაც, თავის მხრივ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს საერთაშორისო აღიარებას მოუპოვებს". აღნიშნულთან კავშირში აღსანიშნავია, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში, სადოქტორო პროგრამა ქართველური ენათმეცნიერება, შეტანილია როგორც ქართველური ენათმეცნიერების, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების, ისე აფხაზოლოგიის საკითხები. ○ პროგრამის მიზანია ქართველურ ენათმეცნიერებაში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ შესაბამისი დარგის აკადემიური ხარისხი და სათანადო კვალიფიკაცია. პროგრამის კურიკულუმი შედგენილია თანამედროვე მეთოდებისა და სტანდარტების გათვალისწინებით. მასში გათვალისწინებულია ქართველური ენათმეცნიერების, ასევე, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესახებ არსებული განსხვავებული სამეცნიერო თვალსაზრისების სწავლების კომპონენტი, მათ შორის, უცხოეთის წამყვანი საენათმეცნიერო სკოლების სამეცნიერო შეხედულებების, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო სიახლეების გაცნობა და გათვალისწინება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია ○ ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამა

- ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამის სწავლების შედეგები გაწერილია უნივერსიტეტში მოქმედ მინიმალურ სტანდარტში, სადოქტორო პროგრამაში და აღნიშნულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგს წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომი, სადოქტორო დისერტაცია, რომელსაც სტუდენტი სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდგომ წარმოადგენს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.
- გარდა ზემოაღნიშნულისა, სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს ჩამოყალიბებული ექნება ქართველური ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები, ქართველური ენათმეცნიერების განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, ენათმეცნიერების ძირითადი და უახლესი კონცეფციები, რაც დაფუძნებულია მეცნიერების უახლეს მიღწევებზე.
- პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში მონაწილეობა, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებში მოხსენებების მომზადება, სამეცნიერო ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნება, შესაბამისი სამეცნიერო სტანდარტების დაცვა და სხვა.
- სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში შედეგები განსაზღვრულია ოპტიმალურად და რეალისტურად. პროგრამაში ჩართული პირები, როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ჩართული იყო პროგრამის შედგენაში და შემუშავებაში. სადოქტორო პროგრამაში არსებული უნარები: ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
- სასურველია, რომ გაუმჯობესდეს სადისერტაციო ნაშრომის ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნები. აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღება გამახვილდა 2018 წლის აკრედიტაციის დასკვნაშიც. კერძოდ, რეკომენდაციებში აღნიშნული იყო: „კვლევების პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით მოხდეს პროგრამით განსაზღვრული სამი სამეცნიერო ნაშრომიდან ერთ-ერთის გამოქვეყნება საერთაშორისო რეცენზირებად ან/და რეფერირებად / რეცენზირებად / იმპაქტფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში

ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში / შრომებში ან უცხოეთის სამეცნიერო გამოცემებში, რომლებიც მოხვედრილია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (EBSCO, SCOPUS)“.

- რეკომენდაციის შემდეგ უნივერსიტეტმა ცვლილება შეიტანა დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტში, სადაც აღნიშნულია, რომ „სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის წარდგენის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია“, რაც გულისხმობს, რომ დოქტორანტმა უნდა დააკმაყოფილოს ქვემოთ წარმოდგენილი ერთ–ერთი მოთხოვნა მაინც. მოთხოვნებს შორის არის უცხოელი თანახელმძღვანელის არსებობა, ან უცხოელი შემფასებლის (ექსპერტი და/ან რეცენზენტი) არსებობა, ან, დოქტორანტის მოხსენება ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე მაინც, რაც დასტურდება შესაბამისი პროგრამით / კონფერენციის მასალებით; სადოქტორო დისერტაციის თემაზე უკვე დაიბეჭდა ან მიღებულია დასაბეჭდად იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში, ან რეფერირებად / რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დაგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე. წ. Proceedings), რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით; დოქტორანტის დისერტაციის შემოკლებული ვერსიის / სტატიის რეცენზირება მოახდინოს საქართველოში ავტორიზებულ უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორის (visiting professor) სტატუსით მყოფმა უცხოური უნივერსიტეტის და/ან სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პროფესორმა და/ან მკვლევარმა; საქართველოში ავტორიზუბულ უნივერსიტეტში ამა თუ იმ სამეცნიერო სტიპენდიით, კვლევითი გრანტით მყოფმა უცხოელმა პროფესორმა და/ან მკვლევარმა. ამასთან, დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის მიხედვით, საერთაშორისო გამოხმაურება შეიძლება არ იყოს სავალდებულო ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის მიმართულების სადისერტაციო ნაშრომებისთვის. საერთაშორისო გამოხმაურების ნაცვლად დოქტორანტს მოეთხოვება: 1) უცხო ენაზე თარგმნილი დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (30–45 გვერდი) გაგზავნა უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტში და/ან სამეცნიერო–კვლევით ცენტრში; 2) სტატიის გამოქვეყნება უცხოენოვან სამეცნიერო ჟურნალში.
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას

დოქტორანტებმა უნდა გამოქვეყნონ არანაკლებ სამი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან ერთი გამოქვეყნებული იქნება რეფერირებად და რეცენზირებად გამოცემებში. თუმცაღა, დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი სტუდენტს არ ავალდებულებს გამოქვეყნოს პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში და აძლევს საშუალებას სადისერტაციო თემის შემადგენელი ნაშრომი გამოაქვეყნოს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთში: იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში, ან რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე. წ. Proceedings), რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით. ექსპერტთა ჯგუფი, დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შემდგომ დარწმუნდა, რომ იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება სასურველი გამოწვევაა როგორც სტუდენტებისათვის, ისე კურსდამთავრებულთათვის. 2019 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა აზრით, კვლევების პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია, დაზუსტდეს გარკვეული საკითხები. პუბლიკაციების ჩამონათვალში უნდა მოიხსნას ალტერნაცია და უნდა მიეთითოს მინიმუმ ერთი ნაშრომის გამოქვეყნების აუცილებლობა იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში, რომელიც იქნება მაგ.; Scopus-ის ან Web of Science-ის, ან ERIH PLUS-ის ბაზებში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ რომელიმე რეფერირებად სამეცნიერო კრებულში, სავალდებულოდ ჩაითვალოს ნაშრომის გამოქვეყნება იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში, ან რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე. წ. Proceedings).

- აღნიშნული აქტივობით გარკვეულწილად გაიზრდება პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი და უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობაც.
- აქვე, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებულია აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ, წინა ვიზიტი დროს გაცემული რეკომენდაცია საერთაშორისო რეცენზირებადი გამოცემების სარეკომენდაციო სიის შემუშავების თაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამა
- ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამის სილაბუსები
- გასაუბრების შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- გასაუბრების შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- გასაუბრების შედეგები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- გასაუბრების შედეგები სტუდენტებთან
- გასაუბრების შედეგები კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- სავალდებულო გახდეს ერთი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში ან საზღვარგარეთ გამოცემულ რომელიმე რეფერირებად სამეცნიერო კრებულში.
-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

Xმეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	მისობაშია მოთხოვნებთან	ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამის წინაპირობები არის საჯარო და ხელმისაწვდომი. წინაპირობებით განსაზღვრულია, რომ სადოქტორო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი ფილოლოგიაში, ან სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ასევე, განათლების მეცნიერებებში. ○ უცხო ენის B-2 დონეზე ცოდნის დადასტურება - გამოცდის ჩაბარება უცხო ენაში

(ინგლისური/გერმანული/ფრანგული), რომელიც ორგანიზებულია სსუ-ს საგამოცდო ცენტრის მიერ ან B-2 დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენა. შიდა გამოცდის შემთხვევაში უცხო ენაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 51 ქულას; უცხო ენის გამოცდის ნიმუშები დევს სსუ ვებგვერდზე. უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლამდე პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა იყო ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენის ჩაბარება. ამჟამად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში ამოღებულია რუსული ენა, რაც დადებითად უნდა ჩაითვალოს.

- პროგრამის კიდევ ერთ წინაპირობას წარმოადგენს ქართველური ენათმეცნიერების პრობლემატიკის საკვანძო საკითხების ცოდნა (ჩატარდება გასაუბრება ფაკულტეტზე შექმნილ დარგობრივ კომისიასთან).
- პროგრამის წინაპირობაა დოქტორანტობის კანდიდატის მიერ სამოტივაციო წერილის წარმოდგენა, რომელშიც წარმოჩენილი იქნება დოქტორანტობის კანდიდატის სამეცნიერო ინტერესების სფერო; დასაბუთებული იქნება, თუ რატომ სურს კონკურსანტს აღნიშნულ სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მცირე ზომის კვლევითი პროექტის/რეფერატის წარმოდგენა სავარაუდო სამეცნიერო ხელმღვანელის მითითებით.
- პროგრამას გააჩნია დამატებითი მოთხოვნაც: სასურველია სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა/რეკომენდაცია, რომელშიც დასაბუთებული იქნება არჩეულ სფეროში კვლევის წარმოების შესაძლებლობა. ზემოაღნიშნული არ გულისხმობს საკვალიფიკაციო თემის ზუსტ დეფინიციას/დაკონკრეტებას;
- აღსანიშნავია ისიც, რომ თანაბარ პირობებში უპირატესობა ენიჭება სხვადასხვა სამეცნიერო (მათ შორის, სტუდენტთა) სამეცნიერო კონფერენციების მონაწილეებს (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი სხვა საბუთებთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი).რაც შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, ისინი მიიღებიან კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- პროგრამის წინაპირობები არის გამჭირვალე და პროცედურები სამართლიანი. ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია დოქტორანტობის კანდიდატებისა და ყველა დაინტერესებული პირისათვის უნივერსიტეტის ვებგვერდიდან, ასევე, დოქტორანტებს საშუალება აქვთ გაიარონ კონსულტაციები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, მათ შორის, პროგრამის

ხელმძღვანელთან.

-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამა
- ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამის სილაბუსები
- გასაუბრების შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- გასაუბრების შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- გასაუბრების შედეგები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- გასაუბრების შედეგები სტუდენტებთან
- გასაუბრების შედეგები კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამა შეადგენს 180 ECTS კრედიტს. მასში შედის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები. სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს, ხოლო კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტს. სასწავლო კომპონენტი შედგება საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და დარგობრივი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან. დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს 30 კრედიტს, დარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსები-9 კრედიტს, რომლის ფარგლებში შეთავაზებულია 24 კრედიტი (5 სასწავლო კურსი) და სრულიად დაცულია არჩევითობის პრინციპი. დანარჩენი 21 კრედიტი ნაწილდება პროფესორის ასისტენტობაზე (3 კრედიტი), სემინარზე (6 კრედიტი), სწავლების თანამედროვე მეთოდებსა (6 კრედიტი) და აკადემიურ წერაზე კვლევის მეთოდების კომპონენტებით (6 კრედიტი). სადოქტორო პროგრამაში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლება იწყება მე-2 სემესტრიდან და გრძელდება მე-6 სემესტრის ჩათვლით.
- პროგრამის სტრუქტურაში, 60 კრედიტიან სასწავლო კომპონენტში შედის სავალდებულო, დარგობრივი სავალდებულო და არჩევითი კურსები. სავალდებულო კურსებია: სწავლების თანამედროვე მეთოდები (6 კრედიტი), პროფესორის ასისტენტობა (3 კრედიტი), სემინარი (6 კრედიტი), აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით (6 კრედიტი). დარგობრივ სავალდებულო კურსებში შედის შემდეგი საგნები: ქართველურ ენა-კილოთა მორფოლოგიის აქტუალური პრობლემები (6 კრედიტი), ქართველური ფონემატური სტრუქტურა (6 კრედიტი), ქართველური ლექსიკოლოგია (6 კრედიტი), მეგრულ-ლაზური

კილოები (თეორიული კურსი) (6 კრედიტი), იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები (6 კრედიტი). დარგობრივ არჩევით კურსებს ეთმობა 9 კრედიტი. არჩევით კურსებში გათვალისწინებულია: აფხაზეთის ონომასტიკა (3 კრედიტი), სვანური კილოები (6 კრედიტი), იბერიულ-კავკასიურ ენათა ლექსიკის შეპირისპირებითი ანალიზი (6 კრედიტი), ენობრივი სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში (6 კრედიტი), ქართული სალიტერატურო ენის ნორმა და სტანდარტი (6 კრედიტი).

- 2018 წლის აკრედიტაციის დასკვნაში გაცემული იყო რეკომენდაცია: "პროგრამისათვის ზოგად არჩევით კურსებს ჩაენაცვლოს პროგრამის შედეგების მისაღწევად ღირებული კურსები ან მოხდეს სილაბუსების გაუმჯობესება და მათი შინაარსობრივი მხარე მოყვანილ იქნეს სწავლების მესამე საფეხურის, დოქტორანტურის დონესთან". აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია შემდეგნაირად: ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებიდან ამოღებულ იქნა ქართველური ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები 1, ქართველური ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები2, ლინგვისტური კვლევა-ძიების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები. ეს სასწავლო კურსები ჩაანაცვლა სხვა სავადლებულო სასწავლო კურსებმა: ქართველურ ენა-კილოთა მორფოლოგიის აქტუალური პრობლემები - 6 კრედიტი, ქართველური ფონემატური სტრუქტურა - 6 კრედიტი, ქართველური ლექსიკოლოგია - 6 კრედიტი, მეგრულ-ლაზური კილოები (თეორიული კურსი) - 6 კრედიტი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები - 6 კრედიტი, რაც ჯამში შეადგინა -30 კრედიტი, ნაცვლად 18 კრედიტისა.
- პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსებიდან ამოღებულ იქნა შემდეგი საგნები: სოციოლინგვისტიკა - 3 კრედიტი, ლინგვისტური კომპარატივისტიკა - 6 კრედიტი, თეორიული ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები - 3 კრედიტი, ქართული სამწიგნობრო ენის ნორმალიზაციის პრინციპები - 6 კრედიტი. ზოგ არჩევით სასწავლო კურსს მიენიჭა სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსი. მაგალითად: ქართველური ლექსიკოლოგია - 6 კრედიტი, მეგრულ-ლაზური კილოები (თეორიული კურსი) - 6 კრედიტი.
- არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა ახალი სასწავლო კურსები - აფხაზეთის ონომასტიკა - 3 კრედიტი, აღნიშნული სასწავლო კურსის შემოღება განპირობებული იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობაში მოყვანის

მიზნით; იბერიულ-კავკასიური ენათა ლექსიკის შეპირისპირებითი ანალიზი-6 კრედიტი, ქართული სალიტერატურო ენის ნორმა და სტანდარტი-6 კრედიტი. შესაბამისად, შესაძლებელია ჩაითვალოს, რომ მოხდა პროგრამის სტრუქტურის გადამუშავება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შეინიშნებოდა საგნების დასახელების ცვლილება, ხოლო შინაარსი უცვლელად იყო დატოვებული. აღნიშნულ საკითხზე ყურადღება გამახვილდა აკრედიტაციის ვიზიტისას პროგრამის ხელმძღვანელებთან და საგნების პედაგოგებთან გასაუბრებისას. მათ დაადასტურეს აღნიშნული და განმარტეს, რომ კურსის ახალი სახელი აკონკრეტებს კურსის რეალურ შინაარსს. დამატებით უნდა განიმარტოს, რომ 2018 წლის აკრედიტაციის დროს სადოქტორო პროგრამის კონკრეტული კურსების მიმართ გამოთქმული იყო შენიშვნა, რომ ისინი ზოგადი ხასიათისაა და არ შეესაბამება მესამე საფეხურის სწავლების დონეს. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია ამ კურსების შინაარსობრივ გადამუშავებაზე. რეკომენდაციაში მითითებული იყო კონკრეტული კურსები. შენიშვნა არ მიემართებოდა კურსებს: *„ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები - 1 “* და *„ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები - 2‘* , თუმცა ამ უკანასკნელის მიმართ გამოთქმული იყო სხვა შენიშვნა: ამოღებული კურსის როგორც სასწავლო მიზნის, ისე შედეგების კომპონენტიდან მითითება „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი“-ს შესახებ, რომლის შეძენა კურსის ფარგლებში რეალურად არ ხდებოდა. ეს მოთხოვნა შესრულებულია“. 2019 წელს, თვითშეფასების დასკვნაში მითითებულია, რომ „სავალდებულო სასწავლო კურსებიდან ამოღებულ იქნა ქართველური ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები 1, ქართველური ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები 2. და ეს კურსები „ჩაანაცვლა სხვა სავადლებულო სასწავლო კურსებმა: ქართველურ ენა-კილოთა მორფოლოგიის აქტუალური პრობლემები-6 კრედიტი, ქართველური ფონემატური სტრუქტურა-6 კრედიტი.“ რეალურად კი ირკვევა, რომ კურსები კი არ არის ჩანაცვლებული, არამედ მათ მხოლოდ სათაური შეეცვალათ. შესაბამისად, 2019 წლის აკრედიტაციის ექსპრტთა აზრით, პროგრამაში განხორციელდა როგორც სტრუქტურული, ისე შინაარსობრივი ცვლილებები.

○
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამა ○ ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამის სილაბუსები ○ 2018 წლის აკრედიტაციის დასკვნა ○ გასაუბრების შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ○ გასაუბრების შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან ○ გასაუბრების შედეგები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ○ გასაუბრების შედეგები სტუდენტებთან ○ გასაუბრების შედეგები კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროგრამის მიზნებს. კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ლოგიკურია. სილაბუსებში მითითებულია თანამედროვე და დარგისთვის მნიშვნელოვანი სასწავლო მასალა. გვაქვს გარკვეული შენიშვნები.
- სავალდებულო საგანი, აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით, შეიცავს რამდენიმე ტექნიკურ და შინაარსობრივ ხარვეზს. კერძოდ, სილაბუსის შინაარსში დასახელებულია წიგნები, რომლებიც არ არის ასახული სილაბუსის იმ ნაწილებში, სადაც ჩამოთვლილია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. კერძოდ, მეორე კვირაში შეთავაზებულია ნაშრომი: მ. ლომია, თანამედროვე ქართული ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის ენობრივი პრობლემები. სადისერტაციო ნაშრომი. 2016. მესამე კვირაში პირველ ნაშრომად შეთავაზებულია ჟურნალისტიკის სტილისტიკური ცნობარი, თბ., 2002. ასევე, გ. შაბაშვილი, ნ. შარაშენიძე, წერის ტექნიკა, თბ., 2008 და სხვ. ეს წიგნები არ არის სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალში. მიზანშეწონილია, საგანში: აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით, შესაბამისობაში მოვიდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა კურსის შინაარსში შეტანილ მასალასთან.
- ამავე სავალდებულო საგანთან დაკავშირებით გვაქვს სხვა მოსაზრებაც:

დოქტორანტებისათვის სავალდებულო საგანში ასახულია წერისა და მეტყველების, აკადემიური წერის, ევროპული ენებიდან შემოსული სახელების დაწერილობის საკითხი, ენის როლი კულტურაში, ინტონაცია და ფონეტიკა, სადისერტაციო სტანდარტის მახასიათებლები და ნაშრომში დამოწმებული თარგმნილი მასალის საკითხები, ნაშრომის რეცენზირების წესები, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის საკითხები და სხვა, თუმცა არსად არ გვხვდება აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატთან ბრძოლის ამსახველი თემატიკა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია თანამედროვე კვლევებში, მათ შორის, დოქტორანტურის საფეხურზე. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნული სასწავლო კურსის შინაარსში აისახოს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატთან ბრძოლის საკითხები.

- არჩევით საგანში: "ენობრივი სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში" სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურის ჩამონათვალი მოიცავს რამდენიმე ათეულ ნაშრომს: წიგნებს, სტატიებს და სხვ. თუმცა მათი ნაწილი არ არის ასახული სასწავლო კურსის შინაარსში. მაგალითად, ნაშრომები: გ. ქავთარია, ქუჯი, თბ., 2001, თ. გ. ავალიშვილი, მტკვარ-არაქსის კულტურის ევროპული პარალელების საკითხისათვის; არქეოლოგიური კრებული, I, 1994; ლ.ბითაძე, ანთროპოლოგიური მონაცემები ქართველთა ეთნოგენეზისისათვის; ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, თბ., 2002; ზ. გამსახურდია, სამეგრელოს საკითხი; ლიტ. საქართველო, 3 ნოემბერი, 22 დეკემბერი, 1989; ზ.გამსახურდია, წერილები, ესეები, თბ., 1991; კ.ზ. გამსახურდია, ადრე ქრისტიანული ქართლის კულტურული მოზაიკა, თბ., 1995; თ. გამყრელიძე, "ოქროს საწმისი" და ძველი კოლხეთის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა, ანუ რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი? ლიტერატურული საქართველო, 20-27 მარტი, 1998; რ. თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2002; რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია თბ., 2006; რ. თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნოგეგეზისი და ეთნიკური ისტორია, 2008; რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოლოგია., თბ., 2008; რ. თოფჩიშვილი, ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი, თეორიული ეთნოლოგია., თბ., 2010; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954 და სხვ. არ არის ასახული სასწავლო კურსის შინაარსი. მიზანშეწონილია, სილაბუსში დასახელებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის შინაარსთან.
